ოქმი #14

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

ქ. ცაგერი 26 სექტემბერი, 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მ. კოპალიანი, გ. გუგავა
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, მ. ხაბულიანი, ზ. ყურაშვილი, თ. ჭაბუკიანი, მ. ყურაშვილი, გ. გოგებაშვილი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, ნ. ბურჯალიანი, ე. საღინაძე, ზ. მეშველიანი, თ. ნემსწვერიძე, ნ. ტვილდიანი, გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი: გ. ნემსაძე
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: რ. ახვლედიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბერის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/გ. ნემსაძე, მ. ლეთოდიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბერის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/გ. ნემსაძე, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მ. ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ მერვე ცვლილების საფუძველია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით სხვა შემოსავლების ზრდა, კერძოდ, დამტკიცებული იყო 300,0 ათ. ლარის ოდენობით, ფაქტიურად შემოსავლებმა დღეის მდგომარეობით შეადგინა 330,5 ათ. ლარი ე.ი. შემოსულია 30,5 ათ. ლარით

მეტი დაგეგმილ მოცულობასთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდოს 30,5 ათ. ლარით.

2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია ასევე დღევანდელი მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზოგიერთი პრიორიტეტის და პროგრამის ფარგლებში დამატებითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება და შესაბამისი პროგრამების საგეგმო მაჩვენებლების გაზრდა.

ქვეპროგრამა ,,მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება" საბიუჯეტო სახსრებით დაგეგმილი იყო 71,2 ათ. ლარის ოდენობით, იმის გამო რომ გაიზარდა ნავთობპროდუქტებზე საბაზრო ფასები და დაემატა შიდა სამგზავრო გადაზიდვები, მიმდინარე ეტაპზე საჭიროა გაიზარდოს ეს პროგრამა 8,8 ლარით. შესაბამისად შემცირდა რეგიონალური პროექტების პროექტირება და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება 8800 ლარით და გაიზარდა მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირების დაფინანსება 8800 ლარით.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, მ. კოპალიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი